

ინფორმაცია მონაცემების კოლექტიური დამუშავების შესახებ

„უცხოეთის მოქალაქეთა ცენტრალური რეესტრი“

პირადი მონაცემების დაცვის გენერალური დებულების (DSGVO) მე-13 დ მე-14 მუხლების თანახმად

მაკონტროლებლის დასახელება და საკონტაქტო რეკვიზიტები:

Bundesamt für Fremdenwesen und Asyl (იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი)
Modecenterstraße 22, 1030 Wien
ტელეფონი: +43- 59 133 98 7004
ფაქსი: +43- 59 133 98 7399
ელ-ფოსტა: BFA-Einlaufstelle@bmi.gv.at

მონაცემთა დაცვის ოფიცრის საკონტაქტო რეკვიზიტები:

ტელეფონი: +43- 59 133 98 0
ელ-ფოსტა: BFA-Datenschutzbeauftragter@bmi.gv.at

დამუშავების მიზნები, რომლისთვისაც გამიზნულია პირადი მონაცემები:

უცხოეთის მოქალაქეების მონაცემების კოლექტიური დამუშავება და გამოყენება შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრის, იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისის, წარმომადგენლობითი ორგანოების, ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს და „უცხოელების დროებითი და მუდმივი ბინადრობის შესახებ“ კანონში მითითებული ორგანოების და პროვინციების პოლიციის შტაბების მიერ ცენტრალურ რეესტრში უცხოელების პოლიციის, ბინადრობის და თავშესაფრის ორგანოების მიზნებისათვის.

დამუშავების სამართლებრივი საფუძველი:

იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისის წარმოების საერთო დებულებებთან დაკავშირებული ფედერალური კანონის 26-ე, 27-ე, 29-ე და 58-ე მუხლები საერთაშორისო დაცვის და განსაკუთრებული გარემოებების გამო ბინადრობის უფლების მისაღებად კვალიფიკაციის, დეპორტაციის, გადანაცვლების გადადების, ასევე, ბინადრობის შემწყვეტ ქმედებებზე განკარგულების მიცემის და უცხოელებისათვის ავსტრიული დოკუმენტების გაცემის მიზნით (BFA კანონი „წარმოების შესახებ“, BFA-VG), „ელ-მთავრობის შესახებ“ კანონთან, „ელ-მთავრობის დელიმიტაციის შესახებ“ განკარგულებასთან, წყარო-PIN რეესტრის რეგულაციასთან, „დამატებითი რეესტრის შესახებ“ განკარგულებასთან, „მოსახლეობის, სამუშაო ადგილების, შენობების და საცხოვრისის აღწერის შესახებ“ ფედერალურ კანონთან (კანონი „აღწერის წარმოების შესახებ“) ერთად.

ვადა, რომლის განმავლობაშიც დაცული იქნება პირადი მონაცემები:

„წარმოების შესახებ“ კანონის BFA თანახმად მიღებული მონაცემები ფიზიკურად უნდა წაიშალოს არა უგვიანეს

1. როცა პიროვნებას მიეცა ავსტრიის მოქალაქეობა მყისიერად, როცა მონაცემები აღარაა აუცილებელი მისთვის, როგორც უცხოელზე გაცემული დოკუმენტის გასაუქმებლად;
2. როცა ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი ინფორმირებულია პიროვნების გარდაცვლების თაობაზე და მას შემდეგ გასულია ხუთი წელი, ან
3. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისის წარმოების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ათი წლის შემდეგ ან წარმოებასთან დაკავშირებული მიმართვის გაუქმების, წარმოებასთან დაკავშირებული მიმართვის დახურვის შემდეგ ან როცა მიმართვის საგანი კარგავს აქტუალურობას. აღნიშნული არ მოქმედებს, როცა პიროვნებას უწესდება შესვლის ან ბინადრობის სამუდამო აკრძალვა. თუ ბინადრობის შემწყვეტი დროებითი ქმედების კანონიერების ვადა ამოიწურება პირველ წინადადებაში მითითებულ შემთხვევაში, მონაცემები უნდა წაიშალოს ხსენებული ვადის გასვლის თანავე.

პირადი მონაცემების მიმღებთა კატეგორიები:

1. უშიშროების სააგენტოები („უშიშროების სამსახურის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად)
2. პროვინციების პოლიციის შტაბები
3. ორგანოები, რომლებიც მითითებულია „უცხოელების დროებითი და მუდმივი ბინადრობის შესახებ“ კანონში
4. ავსტრიის საზღვარგარეთ წარმომადგენლობითი უწყებები
5. იმიგრაციის და თავშესაფრის ფედერალური ოფისი
6. პროკურატურის ორგანოები
7. ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლის ორგანოები
8. ორგანოები, რომლებიც დამტკიცებულია „უცხოური სამუშაო ძალის შესახებ“ კანონის შესასრულებლად
9. სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტები
10. მოქალაქეობის საკითხთა ორგანოები
11. ბინადრობის მარეგისტრირებელი ორგანოები
12. გაეროს ლტოლვილთა უზენაესი კომისრის ავსტრიის ოფისი
13. BFA „წარმოების შესახებ“ კანონის 49-52 მუხლებით განსაზღვრული სამართლებრივი კონსულტანტები
14. ქვეყნის დადგენის შეთანხმების კონტრაქტორი მხარეები, შესაბამისად, იმ ქვეყნების სახელმწიფო ორგანოები, რომელთან მიმართებაშიც გამოიყენება დუბლინის

დებულება და რომლებიც კომპეტენტურია თავშესაფრის ან საერთაშორისო დაცვის შესახებ მიმართვის განსახილველად

15. ლტოლვილების შესახებ ჟენევის კონვენციის შესრულებაზე პასუხისმგებელი საზღვარგარეთული ორგანოები, როცა პირადობის დადგენა, ასევე, თავშესაფრის მიცემა შეუძლებელია ხსენებული ორგანოებისათვის გადაცემის გარეშე და შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნას, რომ ხსენებული მონაცემები არ შეიქნება ხელმისაწვდომი ამ ქვეყნის ორგანოებისათვის, სადაც თავშესაფრის მაძიებელს თუ ლტოლვილს აქვს დევნის შიში
16. ახალგაზრდობის კეთილდღეობის უწყებები
17. ფედერალური და პროვინციების ორგანოები, რომლებიც ასრულებენ „საბაზისო ზრუნვის და მომსახურების ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ დავალებებს
18. ავსტრიის დასაქმების სახელმწიფო სამსახური (AMS) და მზრუნველობის და ინტეგრაციული დახმარების გამწევი ადგილობრივი უწყებები
19. ჯანდაცვის რეგიონული დაწესებულებები და სოციალური დაზღვევის დაწესებულებების ავსტრიის ფედერაცია
20. ფედერალური პროვინციების ადმინისტრაციული სასამართლოები
21. სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოები და ციხეები
22. ევროპის, ინტეგრაციის და საგარეო საქმეთა ფედერალური სამინისტრო
23. წარმოშობის ქვეყნის ორგანოები
24. წყარო PIN რეესტრის ორგანიზაცია „ელ-მთავრობის შესახებ“ კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში
25. ავსტრიის სტატისტიკის სამსახური
26. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ბინადრობის სხვა ორგანოების საკონტაქტო პირები შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი საშუალებით
27. მსოფლიოს ყველა ქვეყნის უშიშროების სააგენტოები
28. უშიშროების საერთაშორისო ორგანიზაციები
29. ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო
30. ევროკავშირის წევრი ქვეყნები
31. შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი
32. კონსულტანტები დაბრუნების საკითხებში

დამმუშავებლები (DSGVO მე4 მუხლის მე-8 პუნქტის და შესაბამისად მონაცემთა დაცვის შესახებ კანონის (DSG) 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-9 პუნქტის თანახმად): IBM Österreich - Internationale Büromaschinen Gesellschaft m.b.H.; Microsoft Österreich GmbH; Bundesrechenzentrum GmbH; Atos IT Solutions and Services GmbH

მონაცემთა სუბიექტის უფლებები:

საჩივრის შეტანის უფლება:

პირად მონაცემთა დაცვის ავსტრიულ ორგანოში საჩივრის შეტანის უფლება (1030 Wien, Barichgasse 40-42, ტელეფონი +43 1 52 152-0, ელ-ფოსტა dsb@dsb.gv.at) ქმედითია „მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად (DSG).

პირად მონაცემებზე წვდომის, შესწორების ან განადგურების უფლება:

წვდომის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-15 მუხლში.

შესწორების შეტანის უფლება განსაზღვრულია DSGVO მე-16 მუხლში.

განადგურების უფლება („დავიწყების უფლება“) განსაზღვრულია DSGVO მე-17 მუხლში.